



ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების

2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში

თებერვალი

2016

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ზოგადი მიმოხილვა.....	3
2. პოლიტიკური დიალოგი და რეფორმა, თანამშრომლობა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში	5
3. თავისუფლება, უსაფრთხოება და მართლმსაჯულება	13
4. ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები	17
5. ეკონომიკური თანამშრომლობა	23
6. თანამშრომლობის სხვა სფეროები	24
7. ფინანსური დახმარება, თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლისა და კონტროლის შესახებ დებულებები.....	32
8. ინსტიტუციური, ზოგადი და დასკვნითი დებულებები.....	35

1. ზოგადი მიმოხილვა

ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ. ანგარიში მოიცავს 2015 წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს. ამავე დროს, ინფორმაციის ნაწილი სცილდება საანგარიშო პერიოდს, რადგან მასში ასევე ასახულია ანგარიშზე მუშაობისას ცალკეული მიმართულებით განხორციელებული მნიშვნელოვანი რეფორმები.

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 იანვრის #59 განკარგულებით დამტკიცდა.

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესისა და ამ მიზნით საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურების კოორდინირებული საქმიანობის უზრუნველსაყოფად, 2015 წელს, საქართველოს პრემიერ-მინისტრის თავმჯდომარეობით გაიმართა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის 3 სხდომა.

ასოცირების შესახებ შეთანხმებითა და ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების, საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან, ევროპულ ნორმებსა და სტანდარტებთან დაახლოების მიზნით, 2015 წელს მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული. მიღებულია სამი ახალი კანონი, განხილვის პროცესშია 14 ახალი კანონპროექტი, შესაბამისი უწყებების მიერ შემუშავდა 44 საკანონმდებლო ცვლილება, აქედან 16 დამტკიცებულ იქნა პარლამენტის მიერ, ხოლო 28 საკანონმდებლო ცვლილებაზე მიმდინარეობს განხილვა. საქართველოს მთავრობისა და სხვადასხვა უწყებების მიერ დამტკიცდა 40-მდე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი.

2015 წელს, მნიშვნელოვანი პროგრესია მიღწეული შემდეგ სფეროებში: მართლმსაჯულება (სასამართლოს, პროკურატურისა და სისხლის სამართლის რეფორმა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება), სასჯელაღსრულება და პრობაცია, პერსონალური მონაცემების დაცვა, მიგრაციის მართვა, თავშესაფრის სისტემის სამართლებრივი ჩარჩოს განვითარება, უსაფრთხოების სფეროს რეფორმა, საჯარო სექტორის რეფორმა, სოფლის მეურნეობა, გარემოს დაცვა, კულტურა,

განათლება, ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები. გარდა ამისა, ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის ეფექტიანი განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, საჯარო მოხელეებისათვის ჩატარდა 140-მდე ტრენინგი და სემინარი, ასევე განხორციელდა სასწავლო ვიზიტები ევროკავშირის წევრ და კანდიდატ ქვეყნებში გამოცდილების გაზიარების მიზნით.

ასოცირების შესახებ შეთანხმებითა და ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების, საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების მიზნით გატარებული რეფორმები ევროპული მხარის მიერ დადებითად იქნა შეფასებული 2015 წლის 16 ნოემბერს გამართულ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს მეორე სხდომაზე.

საქართველომ წარმატებით განახორციელა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით (VLAP) გათვალისწინებული ყველა რეფორმა, რაც დადებითად შეფასდა ევროკომისიის მიერ 2015 წლის 18 დეკემბერს გამოქვეყნებულ რიგით მეოთხე, საბოლოო ანგარიშში.

საქართველო აქტიურად მონაწილეობს ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივაში. შემუშავდა და ევროკავშირს წარედგინა წინადადებები „აღმოსავლეთ პარტნიორობისა“ და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის გადახედვასთან დაკავშირებით. 2015 წელს, ქართულმა მხარემ მონაწილეობა მიიღო „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ რიგის სამიტში და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში.

საქართველოს მთავრობა აქტიურად თანამშრომლობს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან, რომლებიც ჩართულნი არიან ასოცირების შეთანხმების განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და მისი შესრულების მონიტორინგის პროცესში.

2. პოლიტიკური დიალოგი და რეფორმა, თანამშრომლობა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში

არჩევნები

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების თავისუფალ, ღია და გამჭვირვალე გარემოში ჩატარება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. 2015 წლის დეკემბერში, საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცვლილებები „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“, რაც ერთმანდატიანი მაჟორიტარული ოლქის ახალი წესით ფორმირებას ითვალისწინებს. აღნიშნული ცვლილებების შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისა და ვენეციის რეკომენდაციის შესაბამისად, ოლქების საზღვრები შეიცვლება, ამომრჩეველთა თანაბარი რაოდენობის უზრუნველყოფის მიზნით. ამასთან, 2015 წლის დეკემბრიდან, ძალაშია ცვლილებები „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“, რომლის მიხედვით, საკანონმდებლო ორგანოში არჩეულად ჩაითვლება ის მაჟორიტარი, რომელიც ერთმანდატიან ოლქში, აქამდე არსებული 30%-იანი ბარიერის ნაცვლად, 50%-იან ბარიერს გადალახავს.

მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა

საქართველოს პარლამენტში წარდგენილია მართლმსაჯულების სისტემის ინსტიტუციური რეფორმის მესამე ეტაპის ფარგლებში მომზადებული საკანონმდებლო პაკეტი, რომლის მთავარი მიზანია სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მართლმსაჯულების სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლების ხელშეწყობა.

რეფორმის მესამე ეტაპი ითვალისწინებს მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტიებისა და სასამართლოს საქმიანობაში მისი ჩართულობის ზრდას. გარდა ამისა, საკანონმდებლო დონეზე განისაზღვრება მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმები და მახასიათებლები. მოსამართლეობის ყველა კანდიდატი თანამდებობაზე განწესდება კონკურსის წესით, უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდება მოსამართლის საქმიანობაში ჩაურევლობის გარანტიები. სასამართლოს თავმჯდომარეებს თავად აირჩევენ შესაბამისი რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეები.

რეფორმის ფარგლებში შემოღებული იქნება საქმეთა ავტომატური განაწილების პრინციპი, დაიხვეწება დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურები. ამასთან, მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის ფუნქცია სასამართლოს თავმჯდომარის ნაცვლად, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიენიჭება.

გაიზრდება უზენაესი სასამართლოს როლი მართლმსაჯულების პროცესში და გაფართოვდება საკასაციო სასამართლოში საჩივრის დასაშვებობის კრიტერიუმები.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, დამტკიცდა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესში ცვლილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს გამოცდისთვის სამართლებრივი ტესტებისა და კაზუსების მომზადების ჯგუფის შექმნას.

წარმატებით შესრულდა პროკურატურის რეფორმირების თაობაზე ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული ვალდებულებები, რაც პროკურატურის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გაძლიერებას, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხის გაზრდას გულისხმობდა. 2015 წლის მაისში, საქართველოს მთავრობის მიერ მოწონებულ იქნა „პროკურატურის შესახებ“ კანონში ცვლილებების პაკეტი. საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი სამართლებრივ ექსპერტიზაზე გაიგზავნა ვენეციის კომისიაში, ეუთოსა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის ოფისში. ზემოაღნიშნული ორგანიზაციებიდან მიღებული შენიშვნებისა და რეკომენდაციების საფუძველზე, შემუშავდა საკანონმდებლო პაკეტის განახლებული ვერსია, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის 18 სექტემბერს მიიღო, ხოლო 2015 წლის 27 ნოემბერს, პარლამენტმა მთავარი პროკურორი აირჩია.

2015 წლის დეკემბერში, საქართველოს პარლამენტმა მიიღო „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც მოწმეთა დაკითხვის ახალი წესს ითვალისწინებს. მოწმეთა დაკითხვის ახალი წესი 2016 წლის 20 თებერვლიდან ამოქმედდა.

ევროკავშირის აქტიური მხარდაჭერით, ევროპელი და ამერიკელი ექსპერტების უშუალო მონაწილეობით, სრულად გადაისინჯა სისხლის სამართლის კოდექსი. 2015 წლის მარტში მიღებულ იქნა ევროპის საბჭოს მიერ მომზადებული დასკვნა სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებების თაობაზე, რომლის შესაბამისად მოხდა კოდექსის განახლება. 2015 წლის 13 ოქტომბერს გაიმართა კონფერენცია, სადაც განხილულ იქნა ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ექსპერტების რეკომენდაციების შესაბამისად კოდექსის პროექტში განხორციელებული ცვლილებები. ასახული ცვლილებებით, კოდექსის პროექტი წარედგინა საქართველოს პარლამენტს.

2015 წლის ივნისში, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა საკანონმდებლო ცვლილებები სამართლის კოდექსის შესაბამის თავებში. ცვლილებებს საფუძველად უდევს მიდგომა, რომელიც აერთიანებს ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებებს. სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების თანახმად,

განხორციელდა ძალადობრივი ქმედებებისკენ მოწოდებისა და უკანონო ფორმირების საქმიანობასთან დაკავშირებული ქმედებების, ისევე როგორც ჯიჰადის მიზნით უცხო სახელმწიფოში გამგზავრებისა და გამგზავრების მცდელობის კრიმინალიზაცია, ტერორისტული საქმიანობისთვის გადაბირებისა და ტერორიზმის მხარდაჭერისთვის დაწესდა სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

წარმატებით მიმდინარეობს რეფორმა სასჯელაღსრულების სისტემაში: გაუქმდა პირობით ვადამდე გათავისუფლების მუდმივმოქმედი კომისია. აღნიშნული ფუნქცია დარჩა ადგილობრივ საბჭოებს, რომელთა გადაწყვეტილებების გადახედვის უფლება მხოლოდ სასამართლოს გააჩნია. დამტკიცდა სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ინსტრუქცია. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში შეიქმნა ახალი სამმართველო - სისტემური მონიტორინგის სამმართველო, რომლის მიზანია პენიტენციურ დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა დაცვისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფა, არსებული ვითარების პრევენციული შემოწმების, მიღებული შედეგების ანალიზისა და რეკომენდაციების შემუშავების გზით. მომზადდა სამედიცინო მომსახურების მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ახორციელებს სისტემატურ მონიტორინგს დაწესებულებებში. შეიქმნა მულტიდისციპლინური ჯგუფი (ფსიქიატრი, ფსიქოლოგი, ნარკოლოგი, ნევროპათოლოგი), რომელიც უზრუნველყოფს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ფსიქიკური დაავადებების გამოვლენასა და საჭიროებებზე მორგებული მომსახურების მიწოდებას. ამასთან, 2015 წლიდან, აქტიურად დაიწყო მონიტორინგი სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ფსიქოტროპული მედიკამენტების აღრიცხვისა და ხარჯვის კუთხით.

ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები

2015 წლის მაისში, ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელმა უწყებათშორისმა საკოორდინაციო საბჭომ დაამტკიცა ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც შემუშავდა საქართველოს ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის (2014-2020) საფუძველზე.

2015 წლის მარტში, საქართველოს პარლამენტმა №3138-III და №3139-III დადგენილებებით მოახდინა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-15 და მე-16 ოქმების რატიფიცირება.

2015 წლის მაისში, ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომლის თანახმად სახალხო დამცველსა და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს მიეცათ პენიტენციურ დაწესებულებებში ფოტოგადაღების უფლება.

გაიზარდა სახალხო დამცველის აპარატის შესაძლებლობები. დაიხვეწა აპარატის სტრუქტურა, მნიშვნელოვნად გაიზარდა აპარატის ბიუჯეტი და თანამშრომელთა რაოდენობა. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ჩამოყალიბდა ადამიანის უფლებათა აკადემია.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში ფუნქციონირებს ადამიანის უფლებათა ცენტრი, რომლის ძირითადი ფუნქციებია: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა შესწავლა, ანალიტიკური მასალების მომზადება, გადაწყვეტილებათა თარგმნა და მათი მიმოხილვა.

მიღწეულია მნიშვნელოვანი პროგრესი ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით. 2015 წლის ივნისში, საქართველოს პარლამენტმა მიიღო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი და დაიწყო მისი განხორციელება, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმაში ჩართულ პროფესიონალთა სპეციალიზაციას გულისხმობს. ბავშვთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის მექანიზმების გაუმჯობესების მიზნით, მომზადდა მთავრობის დადგენილების პროექტი „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ შესახებ. ამასთან, 2016 წლის 15 იანვარს, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის ცვლილების პროექტები. აღნიშნული ცვლილებებით, კანონმდებლობაში შემოდის ცნება „მიუსაფარი ბავშვი“, რაც შესაბამის სტრუქტურებს საშუალებას მისცემს, არა მხოლოდ ობოლი, უსახლკარო, არამედ უფლებელყოფილი მსხვერპლი ბავშვიც დაიცვას. ახლებურად რეგულირდება მიუსაფარი ბავშვებისათვის დოკუმენტაციის გაცემის პროცესი და უფრო ქმედითი ხდება არასრულწლოვნების ნებისმიერი ძალადობისაგან დაცვის მექანიზმები.

2014 წლის 19 ივნისს, საქართველომ ხელი მოაწერა ევროპის საბჭოს 2011 წლის 11 მაისის კონვენციას „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“. კონვენცია მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს, ქვეყანაში ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობისაგან დაცვის

ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმების ჩამოყალიბებას. კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების საქართველოს კანონმდებლობაში ასახვის მიზნით, მომზადდა საკანონმდებლო პაკეტი და საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლებთან გაიმართა საჯარო დისკუსიები. პაკეტზე მუშაობის დასრულებისთანავე იგი წარედგინება საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს. ოჯახში ძალადობის პრევენციისა და შემცირების მიზნით, განხორციელდა ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია.

უსაფრთხოების სექტორის რეფორმა

მნიშვნელოვანი ინსტიტუციური ცვლილება განხორციელდა **უსაფრთხოების სფეროში**. 2015 წლის პირველი აგვისტოდან ძალაშია კანონი „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“, რომლის თანახმად, ცალკე უწყებად ჩამოყალიბდა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. რეფორმის მთავარ მიზანს წარმოადგენდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ფარგლებში არსებული ძალაუფლების გადანაწილება, **მკაფიოდ გაიმიჯნა საპოლიციო და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ფუნქციები**, ასევე განხორციელდა ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ზრდა. კანონი ითვალისწინებს პოლიტიკური მიუკერძოებლობის მექანიზმის უზრუნველყოფას. **სამსახურის საქმიანობაზე ხორციელდება, როგორც საპარლამენტო, ისე მთავრობის კონტროლი**. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მთავარ ფუნქციად განისაზღვრა სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვა, საფრთხეების შესახებ ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და ბრძოლა კონკრეტული დანაშაულების წინააღმდეგ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ქვეყნის უსაფრთხოებას. სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: ქვეყნის კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ბრძოლა კორუფციის, ტერორიზმისა და ტრანსნაციონალური ორგანიზებული და საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ, სახელმწიფო საიდუმლოების დაცვა, ქვეყნის დაცვა საგარეო საფრთხეებისგან. უსაფრთხოების სექტორის რეფორმის შედეგად, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური განისაზღვრა ასევე ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს ხელმძღვანელ უწყებად.

საჯარო სამსახურის რეფორმა და კორუფციასთან ბრძოლა

საქართველოს მთავრობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს **საჯარო სამსახურის რეფორმირების** საკითხს და კორუფციასთან ბრძოლას.

საქართველოს პარლამენტმა მიიღო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი, რომლის მიზანია მნიშვნელოვანი ინოვაციური მიდგომების დანერგვის გზით, საჯარო სექტორის მოდერნიზება და ეფექტიანი საჯარო მმართველობის ჩამოყალიბება. შეირჩა თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის მოდელი. აღნიშნულის გათვალისწინებით, მომზადდა „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის ოქტომბერში მიიღო. განხორციელდა ცენტრალური საჯარო უწყებების ჰორიზონტალური ფუნქციური ანალიზი, შემუშავდა ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების პროექტი და 18 სამინისტროში დაინერგა ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა.

საქართველოს მთავრობამ 2015 წლის აპრილში დაამტკიცა განახლებული ანტიკორუფციული სტრატეგია და ახალი 2015-2016 წლების ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმა. ანტიკორუფციულმა საბჭომ მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია 2015 წლის თებერვალში დაამტკიცა. საერთაშორისო ორგანიზაციების (კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფო ჯგუფის (GRECO), ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD), გაეროს ნარკოტიკებთან და დანაშაულთან ბრძოლის ბიუროს/გაეროს კონვენცია კორუფციის წინააღმდეგ (UNODC/UNCAC)) რეკომენდაციების შესრულების თვალსაზრისით, კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფის 2015 წლის შეფასებით, საქართველოს, ამ ეტაპზე არც ერთი რეკომენდაცია არ აქვს შეუსრულებელი.¹ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელის (OECD-ACN) საქართველოს შეფასების მესამე რაუნდის ფარგლებში გაცემული 15 რეკომენდაციიდან პროგრესი მიღწეულია 14 რეკომენდაციაზე.

2014 წლის 18 სექტემბერს, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა სამოქალაქო საზოგადოებასთან აქტიური თანამშრომლობით შემუშავებული ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმა. გეგმის დამტკიცების შემდგომ, ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის² ფარგლებში შემუშავდა სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომლის თანახმად, მიღწეულ პროგრესს აფასებენ, როგორც გეგმის განხორციელებაში

¹ კრიმინალიზაციასთან დაკავშირებით გაცემული 5 რეკომენდაციიდან ყველა რეკომენდაცია ითვლება სრულად შესრულებულად. პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობასთან დაკავშირებით გაცემული 10 რეკომენდაციიდან 3 ითვლება სრულად შესრულებულად, ხოლო 7 რეკომენდაცია - ნაწილობრივ შესრულებულად.

² ფორუმი ღია მმართველობა საქართველოს ეროვნული საკოორდინაციო-საკონსულტაციო მექანიზმია, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის გამლიერების მიზნით შეიქმნა. ფორუმი გეგმით გათვალისწინებული პასუხისმგებელი უწყებების, სხვა დაინტერესებული საჯარო დაწესებულებების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციათა წარმომადგენლებისგან შედგება.

ჩართული უწყებები, ასევე სამოქალაქო საზოგადოება. ღია მმართველობა საქართველოს სამდივნომ (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტი) ფორუმთან აქტიური თანამშრომლობით მოამზადა და ღია მმართველობის პარტნიორობას (Open Government Partnership - OGP) 2015 წლის ოქტომბერში წარუდგინა სამოქმედო გეგმის შესრულების თვითშეფასების შუალედური ანგარიში.

თანამშრომლობა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში

2015 წლის პირველი იანვრიდან 30 დეკემბრის ჩათვლით, საქართველო მიუერთდა ევროკავშირის მიერ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში გაკეთებულ 211 განცხადებას.

2015 წლის პირველ აპრილს, საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაიმართა **პოლიტიკური კონსულტაციები უმაღლეს დონეზე**, რომელზეც განიხილეს საქართველოსა და რეგიონში უსაფრთხოების კუთხით არსებული გამოწვევები და რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების მიზნით გაწეული ძალისხმევა. მათ შორის, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობა, რუსეთის მიერ აღნიშნული ტერიტორიების ანექსიისკენ გადადგმული ნაბიჯები და ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მიმდინარეობა. შეხვედრაზე ხაზი გაესვა ევროკავშირის მონიტორინგის მისიის მნიშვნელობას.

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობა, გამოწვევები, პრობლემური საკითხები და ჩართულობის სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელება განხილულ იქნა ასევე ასოცირების შესახებ შეთანხმების ინსტიტუციური ჩარჩოთი გათვალისწინებულ თანამშრომლობის სხვადასხვა დონეზე.

ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) ფარგლებში, **უკრაინაში ჩამოყალიბებულ მრჩეველთა მისიაში (EUAM Ukraine)** მონაწილეობის მისაღებად საქართველოს მიერ წარდგენილი კანდიდატი შერჩეულ იქნა ადამიანური რესურსების სფეროში მრჩეველის თანამდებობაზე და 2015 წლის 1 სექტემბრიდან შეუდგა საქმიანობას.

2015 წლის მარტში, საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებმა წარმატებით დაასრულეს მონაწილეობა **ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის ეგიდით წარმოებულ მისიაში (EUFOR RCA)** 2014-2015 წლებში, მისიაში სულ, 241-მა სამხედრო მოსამსახურემ მიიღო მონაწილეობა.

2015 წლის ოქტომბერში, 5 ქართველი სამხედრო მოსამსახურე (სწრაფი რეაგირების ჯგუფი) 6 თვიანი როტაციის წესით გაიგზავნა **ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, ევროკავშირის სამხედრო მრჩეველთა მისიაში (EUMAM RCA)** მონაწილეობის მისაღებად.

2016 წლის 5 იანვარს, საქართველო 6 თვის ვადით ჩაერთო მალის რესპუბლიკაში ევროკავშირის საწვრთნელ მისიაში (EUTM MALI), რომლის მანდატს მალის რესპუბლიკაში კონსტიტუციური და დემოკრატიული წყობის აღდგენა და ორგანიზებული დანაშაულისა და ტერორისტული საფრთხეების ნეიტრალიზება წარმოადგენს.

3. თავისუფლება, უსაფრთხოება და მართლმსაჯულება

2015 წელს, განხორციელდა ევროკავშირის ექსპერტთა შემფასებელი მისიის ვიზიტები საქართველოში (23-27 თებერვალს და 28 სექტემბრიდან 2 ოქტომბრის ჩათვლით), სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეფასების მიზნით.

2015 წლის 18 დეკემბერს, ევროკომისიამ საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის (VLAP) იმპლემენტაციის შესახებ რიგით მეოთხე, საბოლოო ანგარიში გამოაქვეყნა.

ანგარიშში ხაზგასმულია, რომ საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო, ორგანიზაციული პრინციპები და პროცედურები ოთხი ბლოკით განსაზღვრულ სფეროებში შეესაბამება ევროკავშირისა და საერთაშორისო სტანდარტებს. VLAP-ის თანახმად, საქართველოში განხორციელდა მთელი რიგი საკანონმდებლო და ინსტიტუციური რეფორმები შემდეგ სფეროებში: დოკუმენტების უსაფრთხოება; საზღვრის მართვა, მიგრაციის მართვა, თავშესაფრის პოლიტიკა; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (ორგანიზებული დანაშაულის კორუფციის, ტრეფიკინგის, ნარკოტიკების, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა, სამართლებრივი თანამშრომლობა, პერსონალურ მონაცემთა დაცვა); ადამიანის უფლებების დაცვა.

ევროკომისიის ანგარიშის საფუძველზე, დადგენილი პროცედურების დასრულებისთანავე, საქართველოს მოქალაქეები შეძლებენ ევროკავშირის/შენგენის ტერიტორიაზე უვიზოდ გადაადგილებას. კერძოდ, საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთთანამშრომლობის გათვალისწინებით, ევროკომისია 2016 წლის დასაწყისში წარმოადგენს ოფიციალურ წინადადებას ევროკავშირის № 539/2001 რეგულაციაში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომლის მიღების შემდეგ, საქართველოს მოქალაქეთათვის შენგენის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმი ამოქმედდება.

საქართველოს მთავრობამ 2015 წლის დეკემბერში დაამტკიცა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის მიერ შემუშავებული საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია. ასევე, დამტკიცდა სტრატეგიის 2016-2017 წლების მოკლევადიანი სამოქმედო გეგმა. შემუშავდა და კომისიის მიერ დამტკიცდა მიგრაციის სფეროში რისკების ანალიზის საერთო სისტემის კონცეფცია. ამავდროულად, დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემის ამუშავების მიზნით. გეგმის მიხედვით, სისტემა სატესტო რეჟიმში 2016 წლიდან ამოქმედდება.

2015 წლის ნოემბერში, დამტკიცდა 2015 წლის მიგრაციის პროფილი. ასევე, ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის

საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, მომზადდა და გამოქვეყნდა ლეგალური მიგრაციის გზამკვლევი ქართულ და ინგლისურ ენებზე, მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით გავრცელდა ორი საინფორმაციო ვიდეორგოლი.

მნიშვნელოვნად დაიხვეწა თავშესაფრის მაძიებელთა საკანონმდებლო ჩარჩო, განხორციელდა მნიშვნელოვანი ინსტიტუციური ცვლილებები თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

შეიქმნა და ფუნქციონირებს თავშესაფრის მაძიებელ, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა მონაცემთა ელექტრონული ბაზა.

საჯარო დაწესებულებათა ნაწილის მიერ მიღებული და დამტკიცებულია შიდა რეგულაციები **პერსონალურ მონაცემთა დაცვის** შესახებ. მნიშვნელოვნად გაიზარდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის შესაძლებლობები, როგორც საკადრო, ისე ფინანსური უზრუნველყოფის თვალსაზრისით. 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ინიციატივით, განხორციელდა საჯარო უწყებისა და კერძო ორგანიზაციების 54 შემოწმება, განხილულია 119 მოქალაქის განცხადება. ამასთან, გაწეული კონსულტაციების რაოდენობა შეადგენს 1215-ს.

იუსტიციის სამინისტროს მიერ, ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოსთან“ ერთად და არასამთავრობო ორგანიზაციების, ქართველი და უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით, მიმდინარეობს ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონპროექტის შემუშავება.

2015 წლის ივლისში, ცვლილებები იქნა შეტანილი **„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“** საქართველოს კანონში, რომელიც ითვალისწინებს „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისად, სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის გარიგების (ოპერაციის) აღსრულების შეჩერების უფლებამოსილების მინიჭებას.

2015 წლის იანვარში, ხელი მოეწერა შეთანხმებას საქართველოსა და ესპანეთის სამეფოს შორის **„დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“**, ხოლო 2015 წლის აპრილსა და ნოემბერში, ხელი მოეწერა საქართველოს მთავრობასა და ბელარუსის რესპუბლიკის მთავრობას და საქართველოს მთავრობასა და სლოვაკეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის **„დანაშაულთან ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“** შეთანხმებებს. 2015 წლის სექტემბერში, ძალაში შევიდა

საქართველოს მთავრობასა და ლიტვის რესპუბლიკის მთავრობას შორის „დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმება.

საქართველოს მთავრობამ 2015 წლის სექტემბერში დაამტკიცა **ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2015-2018 წლების ეროვნული სტრატეგია** და **ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმა**.

სასაზღვრო სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების პროექტები ინიცირებულია ბელარუსის, ლიტვისა და პოლონეთის რესპუბლიკებთან.

2015 წლის იანვრიდან, საქართველო ოფიციალურად არის შეყვანილი **ევროკავშირის სამართლებრივი თანამშრომლობის სააგენტოს (EUROJUST)** პრიორიტეტული ქვეყნების სიაში, რაც თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების გასაფორმებლად საჭირო პირველი ეტაპია.

2015 წლის ივნისში, საქართველოს ეწვია **ევროპის პოლიციის სამსახურის (EUROPOL)** შემფასებელ ექსპერტთა მისია, რომელმაც ადგილზე შეისწავლა პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით სამართალდამცავ უწყებებში არსებული მდგომარეობა. 2015 წლის დეკემბერში, გამოქვეყნდა EUROPOL-ის დადებითი ანგარიში, შესაბამისად, 2016 წლის თებერვალში გაიმართება მოლაპარაკებები საქართველოსთან **ოპერატიული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების** ტექსტზე.

საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ წარმატებით გამოიყენება საკონსულო საქმიანობის მართვის ელექტრონული სისტემა. **სრულფასოვნად ფუნქციონირებს საინფორმაციო ინტერნეტ პორტალი - geoconsul.gov.ge**, რომელზეც ხელმისაწვდომია საკონსულო მომსახურებასთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია.

ორდინალური პასპორტების მფლობელთათვის გაფორმდა და ძალაში შევიდა უვიზო მიმოსვლის შესახებ ხელშეკრულებები ბრაზილიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, ურუგვაის რესპუბლიკასთან, ჩილეს რესპუბლიკასა და არგენტინის რესპუბლიკასთან.

დიპლომატიური და სამსახურებრივი/ოფიციალური პასპორტების მფლობელთათვის უვიზო მიმოსვლით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულებები გაფორმდა სერბეთის რესპუბლიკასა და გაიანას კოოპერატიულ რესპუბლიკასთან (ძალაშია). ასევე, გაფორმდა და ძალაში შევიდა შეთანხმება საქართველოსა და ნორვეგიას შორის ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივების შესახებ.

2015 წლის თებერვლიდან, ამოქმედდა ელექტრონული ვიზის (E-visa) პორტალი, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეს აძლევს საშუალებას, საკონსულო სამსახურში

ვიზიტის გარეშე მიიღოს საქართველოს მოკლევადიანი ელექტრონული ვიზა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

2015 წელს, შეუფერხებლად მიმდინარეობდა „საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“ და „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვიზების გაცემის პროცედურის გამარტივების შესახებ“ შეთანხმებების შესრულება. 2015 წლის 13 ოქტომბერს, ქ. ბრიუსელში ჩატარებულ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციისა და რეადმისიის ერთობლივი კომიტეტების ბოლო შეხვედრაზე, **ევროკომისიამ აღნიშნა ამ ორი შეთანხმების წარმატებული განხორციელება.** ამასთან, რეადმისიის მართვის ელექტრონულ პროგრამაში, რომელსაც ქართული მხარე რეადმისიის შესახებ შეთანხმების ეფექტიანი იმპლემენტაციის ერთ-ერთ ინსტრუმენტად მიიჩნევს, 2015 წელს ჩაერთო 5 ევროპული სახელმწიფო: ნიდერლანდების სამეფო, საფრანგეთის რესპუბლიკა, იტალიის რესპუბლიკა, ლიტვის რესპუბლიკა და ირლანდია. სისტემაში ჩართვასთან დაკავშირებით თანხმობა გამოთქვეს სლოვენის რესპუბლიკამ, ჩეხეთის რესპუბლიკამ და ფინეთის რესპუბლიკამ. ასევე, აქტიური მუშაობა მიმდინარეობს ესტონეთის რესპუბლიკასთან, კვიპროსის რესპუბლიკასთან, პორტუგალიასა და შვედეთის სამეფოსთან.

4. ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები

მომზადდა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელების 2014 წლის ანგარიში, რომელიც ბროშურის სახით გამოიცა ქართულ და ინგლისურ ენებზე.

2015 წელს, დაიწყო DCFTA-ის მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის კომპონენტის განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს რეგიონებში მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერას ფინანსური და ტექნიკური (ტრენინგები, კონსალტინგი, შემდგომი მხარდაჭერა) მექანიზმების საშუალებით. 2015 წელს, პროგრამის პირველი ეტაპი დასრულდა. მასში მონაწილეობა მიიღო 12 700-ზე მეტმა ადამიანმა, რომელთაგან 3 118-მა გაიარა ტრენინგი და 590-მა მოიპოვა დაფინანსება.. ჯამში, სახელმწიფოს თანადაფინანსების მოცულობამ პირველ ეტაპზე 4.1 მილიონი ლარი შეადგინა.

შემუშავდა მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პროექტი, რომელიც განხილულ იქნა 2015 წლის დეკემბერში, OECD-ის მაღალი დონის შეხვედრაზე „ევრაზიული კვირეული“. აღნიშნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა მთავრობას 2016 წლის დასაწყისში წარედგინება.

მეწარმეობის განვითარების სააგენტო საკუთარი რესურსითა და დონორების დახმარებით, ახორციელებს სხვადასხვა საკონსულტაციო მომსახურებას მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, რომელთა მიზანს საწარმოებში საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების დანერგვა, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ევროპულ მოთხოვნებთან შესაბამისობა, ასევე ექსპორტის ხელშეწყობა წარმოადგენს.

დასრულდა მუშაობა ვებ-გვერდის www.tradewithgeorgia.com განახლებაზე, რომელიც წარმოადგენს ქართულ ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიების ელექტრონულ მონაცემთა ბაზას და ასევე, მოიცავს შემსყიდველთათვის ყველა საჭირო ინფორმაციას. ამ ეტაპზე, ვებ-საიტი ფუნქციონირებს სრულყოფილად და აქტიურად მიმდინარეობს მონაცემთა ბაზაში ქართული ექსპორტიორი კომპანიების რეგისტრაციის პროცესი.

ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების პროგრამის (CIB) პირველი ეტაპის ფარგლებში (საგრანტო კონტრაქტი), დასრულდა მეწარმეობის განვითარების სააგენტოს შენობის განახლების სამუშაოები, სრულად განახლდა ლაბორატორიული ფართი და დამხმარე ინფრასტრუქტურა (გათბობა/გაგრილების, ელექტრომომარაგების, საკომუნიკაციო, წყალმომარაგების, სადრენაჟე სისტემები),

რაც აუცილებელი წინაპირობაა ლაბორატორიების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ფუნქციონირებისა და მათი აღიარებისთვის. ასევე, განახლდა ადმინისტრაციული ფართები, „ერთი ფანჯრის პრინციპის“ დანერგვის მიზნით.

CIB II ეტაპის ფარგლებში, 2015 წლის მაისში დაიწყო ტექნიკური დახმარების პროექტი „სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის ინფრასტრუქტურის განვითარების შემდგომი მხარდაჭერა ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკასთან დაახლოებისათვის“. ასევე, **CIB II ეტაპის ფარგლებში, დაიწყო შესყიდვის პროექტი სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური ბაზის განახლებისათვის.** ივლისის თვეში ევროკავშირის წარმომადგენლობის მიერ ჩატარდა ტენდერის პირველი რაუნდი, ხოლო დეკემბრის თვეში მეორე რაუნდი. აღჭურვილობის მოწოდება და ინსტალაცია ლაბორატორიებში დაგეგმილია 2016 წლის განმავლობაში.

2015 წელს, საქართველოს სტანდარტად დარეგისტრირდა **1721 საერთაშორისო და ევროპული სტანდარტი.**

2015 წელს, ზომისა და წონის საერთაშორისო ბიუროს (BIPM) დაკალიბრებისა და გაზომვის შესაძლებლობების (CMC) მონაცემთა საერთაშორისო ბაზაში საქართველოს (სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტს) გააჩნია 30 CMC ჩანაწერი ტემპერატურული გაზომვების, მასის და ელექტრო გაზომვების სფეროში. მეტროლოგიის ინსტიტუტის აღიარებული განყოფილებების მიერ გაიცა პირველი, საერთაშორისო დონეზე აღიარებული დაკალიბრების სერტიფიკატები ზომისა და წონის საერთაშორისო კომიტეტის ურთიერთაღიარების შეთანხმების (CIPM MRA) ლოგოთი.

CIB-ის პროგრამის ფარგლებში, ასევე, დაიწყო პროექტი „აკრედიტაციის ცენტრის გაძლიერება ევროპის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად“. 2015 წლის 14-16 დეკემბერს აკრედიტაციის ცენტრში განხორციელდა წინასწარი კოლეგიალური შეფასება EA-ს (European Co-operation for accreditation) მხრიდან, ორმხრივი აღიარების შეთანხმების (BLA) პროცედურების დასაწყებად. შეფასება განხორციელეს ევროპელმა ექსპერტებმა, რომლებმაც დაადასტურეს, რომ აკრედიტაციის ცენტრს ჰყავს პროფესიონალური გუნდი, რომელიც კომპეტენტურად წარმართავს აკრედიტაციის სამუშაოებს. შედეგად, EA-ს შემფასებლებმა მიიღეს რეკომენდაცია განხორციელდეს შეფასების შემდეგი ეტაპი საკ-სა და EA-ს შორის ორმხრივი აღიარების შეთანხმების ხელმოწერის მიზნით.

2015 წლის ივნისში, დაიწყო ბაზარზე ზედამხედველობის ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს საქართველოში **ბაზარზე ზედამხედველობის სისტემის** შესწავლას, ხარვეზების იდენტიფიცირებასა და მის გაუმჯობესებას ევროკავშირის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

პროგრამის ფარგლებში დიდი ბრიტანეთისა და ლიტვის ექსპერტების მიერ ადგილზე იქნა შესწავლილი ზედამხედველობის მეთოდები და პროცედურები, ასევე ამ სფეროში არსებული საქართველოს კანონმდებლობა, ბაზარზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოს - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს - სტრუქტურა და საქმიანობა. სააგენტოს თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენინგები თემაზე „ბაზარზე ზედამხედველობის სფეროს განვითარება ევროპის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად“. შემუშავებულ იქნა ინსტიტუციური განვითარების გეგმა.

ევროკავშირის **სანიტარიული და ფიტოსანიტარიული, ცხოველთა კეთილდღეობისა და სხვა საკანონმდებლო ღონისძიებების მიხედვით, შემუშავდა საკანონმდებლო დაახლოების** სია სხვადასხვა პრიორიტეტულ სფეროებში. 2015 წლის თებერვალში, სია გადაეგზავნა ევროპულ მხარეს. ევროკავშირის ექსპერტების მიერ მოწოდებული რეკომენდაციების საფუძველზე, მოხდა სიის გადახედვა და საბოლოო ვერსიაზე შეჯერება. 2015 წლის სექტემბერში, სიის საბოლოო ვერსია გაეგზავნა ევროკავშირს. საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების მიზნით, დამტკიცდა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ვეტერინარის, სურსათის უვნებლობისა და ფიტოსანიტარიის სფეროში. ასევე, ევროკავშირის დახმარებით, საექსპორტო პოტენციალის მქონე პრიორიტეტული პროდუქციის (თევზი და თაფლი) უვნებლობის აღიარების მიზნით მომზადდა სამოქმედო გეგმა, რომლის შესრულება პროდუქციის ევროპულ ბაზარზე დაშვების წინაპირობაა.

სურსათის ეროვნულ სააგენტოში მიმდინარეობს მუშაობა **ინსტიტუციური გეგმის განახლებაზე**. სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა და CIB-ის ექსპერტებმა გამართეს სამუშაო შეხვედრა. ექსპერტებმა მოიძიეს ინფორმაცია სურსათის ეროვნული სააგენტოს საჭიროებებზე, როგორცაა ადამიანური რესურსის, შესაძლებლობების განვითარებისა და ტექნიკური საჭიროებები.

ფინანსთა სამინისტროში, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ტექნიკური მხარდაჭერით, მიმდინარეობს მუშაობა **ახალი საბაჟო კანონმდებლობის** პროექტის შემუშავებაზე. ასევე, მიმდინარეობს მუშაობა **„ტრანზიტის საერთო პროცედურების შესახებ (CTC)“** და **„საქონლით ვაჭრობაში ფორმალუბების გამარტივების შესახებ (SAD)“** კონვენციებთან მიერთების კუთხით. ამ მიზნით, შექმნილია კომისია და შესაბამისი სამუშაო ჯგუფი. ასევე, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს „მმართველობა განვითარებისათვის“ (G4G) პროექტი დახმარებას უწევს შემოსავლების სამსახურს **ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის (AEO)** პროგრამის საქართველოში იმპლემენტაციის კუთხით. ჩამოყალიბდა ერთიანი სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მოახდინა არსებული მდგომარეობის შეფასება და შეიმუშავა საქართველოში AEO-ს ინსტიტუტის დანერგვის სამომავლო სამოქმედო გეგმა.

მიმდინარეობს მუშაობა ახალი საბაჟო კანონმდებლობის პროექტზე, რომლის მიღებაც იგეგმება 2016 წლის პირველ ნახევარში.

რეგულარულად მიმდინარეობს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის ოფიცრების გადამზადება საქონლის წარმოშობის წესების საკითხებში, მათ შორის უცხოელი ექსპერტების მხარდაჭერით. შემოსავლების სამსახურმა შეიმუშავა უფლებამოსილი ექსპორტიორის (Approved Exporter) ინსტიტუტის მარეგულირებელი წესების პროექტი.

ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საბაჟო აღსრულების ქართული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივი დაახლოების მიზნით, **შემოსავლების სამსახურში** შეიქმნა შიდაუწყებრივი სამუშაო ჯგუფი, რომლის ფარგლებშიც დადგინდა კანონმდებლობებს შორის არსებული განსხვავებები და შემუშავებულ იქნა აღნიშნული განსხვავებების აღმოფხვრის სამწლიანი გეგმა. ჯგუფი შეთანხმდა, რომ ინდენტიფიცირებული განსხვავებების აღმოფხვრა განხორციელდება 3 ეტაპად და აღნიშნული განახლებების შესახებ ეცნობება დაინტერესებულ მხარეებს.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც UNDP-ის და SIGMA -ს ექსპერტებთან ერთად, შეიმუშავა სახელმწიფო შესყიდვების სფეროში საკანონმდებლო დაახლოების ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმის პროექტი. აღნიშნული დოკუმენტი განხილულ იქნა და დადებითად შეფასდა საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე.

შეიმუშავა სახელმწიფო შესყიდვების სფეროში საკანონმდებლო დაახლოების ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმის პროექტის პრეზენტაცია შედგა ასევე, მსხვილ შემსყიდველ ორგანიზაციებთან ჩატარებულ შეხვედრაზე, სადაც გაიმართა მსჯელობა სახელმწიფო შესყიდვების სფეროში გასატარებელ რეფორმებზე, ევროკავშირის კანონმდებლობასთან და პროცედურებთან დაახლოების მიზნით.

2016 წლის დასაწყისში, დაგეგმილია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ სამოქმედო გეგმის საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა.

საერთაშორისო და ადგილობრივი კერძო სექტორის წარმომადგენლებთან განხილულ იქნა საკანონმდებლო ცვლილებები ინტელექტუალური საკუთრების მარეგულირებელ კანონმდებლობაში. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების შედეგად, მოხდება ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან დაახლოება.

საქპატენტმა, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO), აშშ საპატენტო და სასაქონლო ნიშნების ოფისის (USPTO), ევროპის საპატენტო უწყების (EPO) და შიდა ბაზრის ჰარმონიზაციის უწყების (OHIM) მხარდაჭერით დააფუძნა

ინტელექტუალური საკუთრების სასწავლო ცენტრი. სასწავლო ცენტრი ემსახურება ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და სპეციალისტების გადამზადებას.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, საქპატენტი რეგულარულად ატარებს სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებს. ასევე, საქპატენტი აქტიურადაა ჩართული მოსამართლეებისათვის და ადვოკატებისათვის ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებულ საკითხზე ტრენინგების ორგანიზებაში.

2015 წელს, კონკურენციის სააგენტომ დაასრულა „**კონკურენციის შესახებ**“ საქართველოს კანონის სავარაუდო დარღვევის გამოვლენის მიზნით 10-მდე სხვადასხვა ბაზრის მოკვლევა, მათ შორის საავტომობილო საწვავის, საავიაციო ნავთის, თერმულ-მინერალური წყლების, საავტომობილო-საკონტეინერო მომსახურების, სახელმწიფო შესყიდვების (ორი მოკვლევა), ხორბლის, საავტომობილო გაზისა და სარკინიგზო-საკონტეინერო გადაზიდვების. ასევე, შეფასებულ იქნა შესაბამის ბაზრებზე მოსალოდნელი კონცენტრაციების გარემოსთან თავსებადობის საკითხი ცემენტისა და საავადმყოფოების ბაზრებზე. უკვე დასრულდა ყავის ბაზრის მონიტორინგი და ნავთობტერმინალების ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით კვლევა.

გრძელდება ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანიის განხორციელება DCFTA-სთან დაკავშირებულ საკითხებზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით. აღნიშნული კამპანიის ფარგლებში, შეხვედრები გაიმართა როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში. შეხვედრების ფარგლებში გავრცელდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინიციატივითა და G4G პროექტის მხარდაჭერით მომზადებული საინფორმაციო ბუკლეტები DCFTA-ის შესახებ.

პროექტის „**შრომის კანონმდებლობის დაცვის გაუმჯობესება საქართველოში**“ ფარგლებში, რომელსაც საქართველოში ახორციელებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), შემუშავდა ტრენინგ მეთოდოლოგია. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცხელი ხაზის 44 ოპერატორი გადამზადდა შრომითი უფლებების საკითხებთან დაკავშირებით. ასევე, შრომის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებისა და ILO-ს მიერ დამატებით გადამზადდა 15 მოსამართლე, შესაბამისად, მიმდინარე ეტაპისთვის ჯამში გადამზადებულია 30 მოსამართლე.

ტყის ახალი კოდექსის შემუშავების მიზნით, მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარებით, მიმდინარეობს სატყეო სექტორში კანონდარღვევებისა და მართვის გაუმჯობესების პროგრამა. მომზადებულია კოდექსის პროექტის პირველადი ვერსია და მისი თარგმანი, რომელიც განსახილველად დაეგზავნა სამინისტროს შესაბამის უწყებებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს. **შემუშავებულია**

საქართველოს ტყით დაფარული ფართობების რუკა და საქართველოს ტყის ფონდის ზონირებისა და კატეგორიზაციის კონცეფცია. დაწყებულია ახალი სატყეო მონიტორინგის სისტემის შემუშავება.

გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციით (CITES) გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, დაწყებულია პროექტი, რომლის ფარგლებში შეფასდება მერქნული და არამერქნული სახეობები.

კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) შეთანხმებისთვის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს კოორდინაციით მომზადდა „საქართველოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ (INDC) დოკუმენტი, რომელიც გულისხმობს 2030 წლამდე ბიზნესის განვითარების დაგეგმილ მაჩვენებლებთან შედარებით (BAU) სათბური გაზების ემისიების შემცირებას 15%-ით უპირობოდ, ხოლო 25%-ით შესაბამისი საერთაშორისო დაფინანსების პირობებში. 2015 წლის დეკემბერში, საქართველოს დელეგაცია აქტიურად იყო ჩართული პარიზში გამართულ კლიმატის ცვლილების კონფერენციაში. 12 დეკემბერს ხელი მოეწერა პარიზის ხელშეკრულებას, რომელიც კლიმატის ცვლილების შედეგების შერბილებისაკენ გადადგმული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია.

გადამცემი ქსელის განვითარების, მართვის, ხელმისაწვდომობისა და უსაფრთხო სარგებლობის მიზნით დამტკიცდა „საქართველოს ელექტროენერჯის გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა“, რაც ხელს შეუწყობს რისკების შემცირებას შეუფერხებელი ტრანზიტის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, აგრეთვე, ევროპული გაერთიანებული ენერგოსისტემის (ENTSO-E) განვითარების ათწლიან გეგმასთან ინტეგრირებისთვის მზაობას.

ელექტროენერგეტიკული ბაზრის განვითარების მიზნით შესწავლილ იქნა ევროპული ქვეყნების ბაზრის მოდელები. ელექტროენერჯის ბაზრის ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების მიზნით, USAID-ის დახმარებით ჩატარდა, ბაზრის მოდელის განვითარების პირველი ფაზის სიმულაციის სამუშაოები.

დამტკიცდა ელექტროენერჯის გადამცემი ქსელის წესები. ამასთან, მარეგულირებლის მიერ შემუშავებულ იქნა გამანაწილებელი ქსელის წესების ოთხი თავი და ერთიანი საბუღალტრო-სააღრიცხვო სისტემის პროექტი. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს ანგარიშთა გეგმასა და მის ინსტრუქციებს.

5. ეკონომიკური თანამშრომლობა

ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციისა (OECD) და ევროკომისიის ერთობლივი ინიციატივის - SIGMA-ს (Support for Improvement in Governance and Management) მხარდაჭერით შემუშავდა სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების სტრატეგიის სამუშაო ვერსია და მიმდინარეობს განხილვა ექსპერტებთან.

შემუშავდა ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქცია და SIGMA-ს მხარდაჭერით ხორციელდება სისტემის დანერგვა ოთხ სამინისტროში, დაწესებულებებში ფინანსური კონტროლისა და მენეჯერული ანგარიშვალდებულების გაძლიერების მიზნით. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების მხარდაჭერით გაიზარდა შიდა კონტროლის მექანიზმების ადეკვატურობისა და ეფექტურობის შეფასების მექანიზმები სისტემური აუდიტის პოპულარიზაციისა და დანერგვის, ასევე შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის განახლების გზით.

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამის „მმართველობა განვითარებისათვის“ (G4G) ფარგლებში, მომზადდა დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) თაობაზე საქართველოსა და ევროკავშირის კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი.

შეტანილია ცვლილებები საგადასახადო კოდექსში, რომელშიც გათვალისწინებულია გარკვეული საკითხები საქართველოს კანონმდებლობის 2006 წლის 28 ნოემბრის ევროკავშირის საბჭოს 2006/112/EC დირექტივასთან (დამატებული ღირებულების გადასახადის საერთო სისტემის შესახებ) დაახლოების თაობაზე, კერძოდ: ურთიერთდამოკიდებული პირების, უკუდაბეგვრის, დროებითი შემოტანისა და საბაზრო ფასის გამოყენების პრინციპთან დაკავშირებულ საკითხები.

საქართველოს კანონმდებლობის 2011 წლის 21 ივნისის ევროკავშირის საბჭოს 2011/64/EU დირექტივასთან (წარმოებული თამბაქოს აქციზის გადასახადის სტრუქტურისა და განაკვეთების შესახებ) აპროქსიმაციის მიზნით, შევიდა ცვლილება საქართველოს ფინანსთა მინისტრის №996 ბრძანებაში ადვალური აქციზის საგადასახადო ადმინისტრირების საკითხებზე. 2015 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა ადვალური გადასახადი თამბაქოს პროდუქციაზე.

2015 წლის აპრილში, სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გამოაქვეყნა მოსახლეობის საყოველთაო აღწერის წინასწარი შედეგები.

2015 წლის იანვრიდან, ამოქმედდა სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელების ახალი სისტემა. 2015 წლის ივნისიდან ძალაშია „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები.

6. თანამშრომლობის სხვა სფეროები

ტრანსპორტი

2015 წლის დეკემბერში, ცვლილებები შევიდა საქართველოს საჰაერო კოდექსში. აღნიშნული ცვლილებების შედეგად, საქართველოს კანონმდებლობაში აისახა ამ სფეროში ევროკავშირის რეგულაციები (ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 21 აპრილის №785/2004 რეგულაცია სადაზღვევო მოთხოვნების შესახებ; ევროპარლამენტის 2008 წლის 24 სექტემბრის №1008/2008 რეგულაცია ევროკავშირის ტერიტორიაზე გადაზიდვების წარმოების შესახებ; საბჭოს 1997 წლის 9 ოქტომბრის №2027/97 რეგულაცია ავიაგადამზიდველის პასუხისმგებლობა უბედური შემთხვევებისას).

„საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის მწარმოებელი სატრანსპორტო საშუალებების ეკიპაჟების მუშაობის შესახებ“ ევროპის შეთანხმების (AETR) მოთხოვნების შესრულების მიზნით, 2015 წლის განმავლობაში სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს ანალიზისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ განხორციელდა მეწარმე სუბიექტების 5 200 სამუშაო დღის შემოწმება.

დასრულდა სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოში არსებული საკვალიფიკაციო ცენტრის აკრედიტაციის მეორე, ძირითადი ეტაპი და 2015 წლის ნოემბერში, სააგენტოს გადმოეცა IRU-ს აკრედიტაციის ატესტატი.

მომზადდა „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი. აღნიშნული კანონპროექტებით გათვალისწინებული ნებართვების გაცემისათვის საწარმოო პირობების შემუშავებისას გამოყენებული იქნა საერთაშორისო ნორმატიული დოკუმენტებით დადგენილი სატრანსპორტო ბაზარზე გადამზიდველების დაშვების ძირითადი მოთხოვნები.

ენერჯეტიკა

2015 წლის ივლისში, ცვლილებები შევიდა „ნავთობისა და გაზის შესახებ საქართველოს კანონში“, ნახშირწყალბადის რესურსების მოპოვებისა და სამეწარმეო საქმიანობისათვის ნებართვების მიღების პროცესის გამარტივების მიზნით.

საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროსა და ევროპის რეკონსტრუქციის განვითარების ბანკს (EBRD) შორის, ხელი მოეწერა დოკუმენტს, საქართველოს ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით. ასევე, 2012/27/EC დირექტივის მიხედვით, მომზადდა ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმის პირველი სამუშაო დოკუმენტი.

„რეგიონალური ელექტროგადაცემის გაუმჯობესების პროექტის“ ფარგლებში მიმდინარე სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების უმეტესი ნაწილი შესრულებულია. „ელექტროენერჯის გადაცემის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია/რეკონსტრუქციის პროექტის“ ფარგლებში მიმდინარე სამუშაოებთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ დასრულდა 10 ქვესადგურის დაცვისა და მართვის სისტემების რეაბილიტაციის პროექტი, აგრეთვე, 35/10/6 კვ. გამანაწილებელი მოწყობილობების შესყიდვა (12 ქვესადგურის შესყიდვა).

რეგიონული პროექტების განხორციელების ხელშეწყობის ფარგლებში, 2015 წელს, თურქეთის რესპუბლიკაში, გაიმართა „ტრანსნაატოლიის ბუნებრივი გაზსადენის“ (TANAP) პროექტის საძირკვლის ჩაყრის ცერემონია. „სამხრეთ ბუნებრივი აირის დერეფნის გაფართოების პროექტის“ (SCPX) განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, მთავრობის დადგენილების საფუძველზე, სახელმწიფომ გასცა საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო საქმიანობებისათვის მიწით სარგებლობის ნებართვები, ნაკვეთების უმეტეს ნაწილზე.

2015 წელს, ქ. ბუქარესტში, აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთის ინტერკონექტორის პროექტის (AGRI) ხელშეწყობის მიზნით, გაიმართა მინისტერიალი, სადაც მხარეებმა, ხელი მოაწერეს პროექტის ერთობლივ დეკლარაციას. მომზადდა აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთის (AGRI) პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება.

გარემოს დაცვა

2015 წელს, მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა გარემოს დაცვის სფეროში.

ევროკავშირის ექსპერტებთან ერთად შემუშავდა გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილებების სფეროში საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების საგზაო რუკა, რომელიც წარმოადგენს აღნიშნულ სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან თანმიმდევრული დაახლოების გეგმას.

ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულების ფარგლებში, მომზადდა მნიშვნელოვანი კანონპროექტები და კანონქვემდებარე აქტები, რომელთა შორის აღსანიშნავია: **„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ პროექტი** - რომელშიც ასახულია გარემოზე ზემოქმედების შეფასებას (გზმ) დაქვემდებარებული საქმიანობების სრულყოფილი ჩამონათვალი და რეგულაციის ქვეშ არის მოქცეული ყველა ის საქმიანობა, რომელიც მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს გარემოზე. ასევე, გათვალისწინებულია გარემოსდაცვითი შეფასების პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ეფექტიანი მექანიზმების დანერგვის კომპონენტი. ასევე, შემუშავდა საქართველოს კანონის პროექტები **„რადიოაქტიური ნარჩენების შესახებ“** და **„ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**, რომლებიც ითვალისწინებენ რადიოაქტიური ნარჩენების მართვის სისტემის ინსტიტუციურ სრულყოფას; **„წყლის რესურსების მართვის შესახებ“** კანონის პროექტი; კანონის პროექტი **ბიომრავალფეროვნების დაცვის შესახებ**; **„გარემოს დაცვის შესახებ“** კანონში ცვლილებები; საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი **მემაცივრე-ტექნიკოსების სერტიფიცირების სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით**; კანონის პროექტი **„მასშტაბური ავარიების პრევენციის შესახებ“**.

დამტკიცდა საქართველოს მთავრობის დადგენილებები: **„ნაგავსაყრელების მოწყობის, ოპერირების, დახურვის და შემდგომი მოვლის შესახებ“**; კანონქვემდებარე აქტი; **„ნარჩენების აღრიცხვის წარმოების, ანგარიშგების განხორციელების ფორმისა და შინაარსის შესახებ“** კანონქვემდებარე აქტი; **„სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“**.

შემუშავდა და განსახილველად საქართველოს მთავრობას წარედგინა **ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა**.

საჯარო ინფორმაციის გაცემის პრაქტიკული მექანიზმის ჩამოყალიბების მიზნით, შემუშავდა **გარემოზე ზემოქმედების ნებართვების ვებრუკა**, რომელზეც დატანილია გარემოზე ზემოქმედების ნებართვების მქონე ობიექტები შემდეგი საჯარო ინფორმაციის მითითებით: გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა, საქმიანობის განმახორციელებელი და პროექტთან დაკავშირებული სხვა საჯარო ინფორმაცია.

გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, ფუნქციონირებს **სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებ-გვერდი**. გარემოსდაცვით ინფორმაციასთან დაკავშირებული და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის

ხელშეწყობის მიზნით, შემუშავდა ელექტრონული სერვისები, რომლებიც ინტეგრირებულია გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებ-გვერდზე.

სამრეწველო და საწარმოების პოლიტიკა

მეწარმეობის განვითარების სააგენტო ახორციელებს ბენეფიციარი კომპანიების ტექნიკური საჭიროებების შეფასებას. 2015 წელს, ამ კონტექსტში, კონტაქტი დამყარდა 35-მდე კომპანიასთან. აღნიშნული პროექტი ხორციელდება ევროპული განათლების ფონდთან (ETF) მჭიდრო თანამშრომლობით და მათი მეთოდოლოგიის გამოყენებით.

2015 წელს, საქართველო, მეწარმეობის განვითარების სააგენტოსა და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს კონსორციუმის ფორმით, ჩაერთო ევროპის მეწარმეთა ქსელში (Enterprise Europe Network – EEN). აღნიშნული ქსელი წარმოადგენს ელექტრონულ პორტალს, რომლის მიზანია ევროკავშირის წევრი და სხვა ქვეყნების მცირე და საშუალო სექტორის ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერა, კონკრეტული ბიზნეს წინადადებების გავრცელებისა და გაცვლის გზით. 2015 წლის 14 დეკემბერს, მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ორგანიზებით, ჩატარდა სპეციალური ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც კერძო სექტორის 100-მდე წარმომადგენელი გაეცნო ინფორმაციას საქართველოს EEN-ში მონაწილეობისა და DCFTA-ს ფარგლებში ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტის განხორციელებისთვის საჭირო რიგი ტექნიკური საკითხების შესახებ.

ტურიზმი

2015 წელს, საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში საქართველოს ცნობადობის გაზრდის მიზნით მონაწილეობა მიიღო 10 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა-ბაზრობაში. იმავე პერიოდში, ადმინისტრაციამ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში საქართველოს ტურისტული შეთავაზებების პოპულარიზაციის მიზნით განახორციელა მარკეტინგული კამპანია, რომელიც მოიცავდა სხვადასხვა სახის გარე და სატელევიზიო რეკლამის (CNN, EURONEWS) განთავსებას.

ასევე, საქართველოს ტურისტული, ისტორიული და კულტურული ღირებულებების უკეთ გაცნობის მიზნით, ადმინისტრაციამ ორგანიზება გაუწია პრეს და გაცნობით ტურებს ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყნიდან.

დაზღვევა

2015 წლის ივლისში, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილებები „დაზღვევის შესახებ“ კანონში, რომელიც ადგენს დაზღვევის შუამავლების მიერ საქმიანობის ამსახველი ანგარიშგების სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისათვის“ წარდგენის ვალდებულებას, ასევე განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კომპანიების ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას - სააქციო საზოგადოება.

კვლევა, ტექნოლოგიები და ინოვაციები

2015 წელს, საქართველომ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ შეთანხმებას მიაღწია ლატვიის რესპუბლიკასთან, ლიტვის რესპუბლიკასა და უნგრეთთან.

2015 წელს, საქართველოში ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით გაიხსნა 4 სამრეწველო ლაბორატორია, მათ შორის, სამი თბილისში, ხოლო ერთი-ბათუმში. ასევე ჩამოყალიბდა 3 ინოვაციური ლაბორატორია.

საქართველოში აშენდა პირველი ტექნოპარკი, რომელიც სრული დატვირთვით ფუნქციონირებას 2016 წლის 23 იანვრიდან დაიწყებს.

საქართველოში დაფუძნდა პირველი საზოგადოებრივი ინოვაციური ცენტრი ხარაგაულის საზოგადოებრივი ბიბლიოთეკის ბაზაზე.

ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით მიმართულების განვითარებისა და IT სპეციალისტების გადამზადების მიზნით, ესტონური პროექტის „Garage48“ ფარგლებში, გაიმართა ე. წ. „ჭაკათონი“, რომელშიც 200-მდე სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა.

დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები

2015 წლის მარტში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შეიქმნა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი, რომლის ფუნქციასა ორგანიზაცია-დაწესებულებებში დასაქმებულთა შრომის უსაფრთხო პირობების დაცვის ხელშეწყობა და შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის პრევენცია და აღმოფხვრა.

2015 წლის 22 აპრილს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი შრომითი მიგრაციის შესახებ.

2015 წლის 2 ივნისს, დამტკიცდა „შრომის ბაზრის ანალიზისა და საინფორმაციო სისტემის დანერგვისა და განვითარების სახელმწიფო პროგრამა“. პროგრამის მიზანია საქართველოში შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის შექმნა და განვითარება, რომელიც ორიენტირებული იქნება შრომის ბაზრის მონიტორინგსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებაზე.

2015 წელს, შემუშავდა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის პროექტი. მიმდინარეობს სოციალურ პარტნიორებსა და დაინტერესებულ მხარეებთან კანონპროექტის განხილვა.

ჯანმრთელობის დაცვა

საქართველოს მთავრობამ დაიწყო მსოფლიოში უპრეცედენტო C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა. 2015 წლის აპრილიდან C ჰეპატიტის მქონე პაციენტები უზრუნველყოფილნი არიან მკურნალობის წინა სადიაგნოსტიკო და მკურნალობის მონიტორინგისათვის საჭირო კვლევებითა და C ჰეპატიტის სამკურნალო უახლესი მედიკამენტებით.

მიმდინარეობს C ჰეპატიტის ელიმინაციის გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავება.

2015 წლის 15 აპრილს, დამტკიცდა „აივ ინფექცია/შიდსის 2016-2018 წლების ეროვნული სტრატეგიის გეგმა“, ხოლო 2015 წლის 9 ივლისს, დამტკიცდა „ტუბერკულოზის 2016-2018 წლების ეროვნული სტრატეგიის გეგმა“.

ხალხთა შორის კონტაქტები, განათლება და მეცნიერება

საქართველო აქტიურად არის ჩართული Erasmus+ პროგრამაში, კერძოდ, სტუდენტთა მობილობის პროგრამის ფარგლებში (Credit Mobility). მიმდინარეობს მოლაპარაკებები საქართველოსა და ევროპის უნივერსიტეტებს შორის ორმხრივი ხელშეკრულებების გაფორმების მიზნით.

საქართველომ, ევროკავშირის მხრიდან ოფიციალური დასტური მიიღო პროგრამაში „ჰორიზონტი 2020“ ასოცირებულ წევრობაზე. საქართველოსა და ევროკავშირს შორის დასრულდა ტექნიკური მოლაპარაკებები ხელშეკრულების ტექსტის პროექტზე. შეთანხმება, შიდა სახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების შემდგომ, 2015

წლის 11 დეკემბერს, საქართველოს მთავრობამ №2677 განკარგულებით მიიღო. ამასთან, საქართველოს მხრიდან, შეთანხმებაში ტერიტორიული გავრცელების შეზღუდვის დათქმიდან გამომდინარე, ქართული მხარე ელოდება საბოლოო დასტურს ევროკავშირისგან.

უმაღლესი განათლების თანაბრად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, 2015-2016 სასწავლო წლიდან ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტებისთვის შემუშავდა სოციალური პროგრამები, რომლის ფარგლებში დაფინანსდებიან მაღალმთიანი და ეკოლოგიური მიგრაციის რეგიონში მცხოვრები, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა შვილები, სამცხე-ჯავახეთიდან დეპორტირებულთა შთამომავლები, უდედმამო, მრავალშვილიანი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ოკუპირებული ტერიტორიების საზღვრისპირა სოფლებში მცხოვრები, სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი და სოციალურად დაუცველი სტუდენტები.

განათლების უწყვეტობის, მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის კონცეფციის განხორციელების მიზნით მომზადდა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს პროფესიულ განათლებაში ზოგადსაგანმანათლებლო კომპონენტის დანერგვას.

2015 წელს, ევროკავშირის ინიციატივის „მეტი მეტისთვის“ ფარგლებში, საქართველოს მთავრობასა და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობას შორის გაფორმებული ფინანსური შეთანხმების „დასაქმება, პროფესიული განათლება და გადამზადება“ პოლიტიკის მატრიცით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება შეფასდა ევროკავშირის მონიტორინგის მისიის მიერ და მომზადდა შესაბამისი ანგარიში. ანგარიშის თანახმად, პოლიტიკის მატრიცით გათვალისწინებული ვალდებულებები შესრულებულად ჩაითვალა.

2015 წლის თებერვალში, ქ. ბრიუსელში, ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც საქართველო ევროკავშირის პროგრამის „Creative Europe“ („შემოქმედებითი ევროპა“) წევრი გახდა.

დაწყებულია მუშაობა საქართველოს კულტურის სტრატეგიაზე. მომზადდა აღნიშნული სტრატეგიის შემუშავების გზამკვლევი. 2015 წლის ივლისში, ჩატარდა უწყებათაშორისი ჯგუფის პირველი სამუშაო შეხვედრა, სადაც შეხვედრის მონაწილეები გაეცნენ კულტურის სტრატეგიის შემუშავების პროცესის მიმდინარეობას. შემუშავდა კულტურის სტრატეგიის სამუშაო ვერსია და 2015 წლის დეკემბერში გაიმართა დოკუმენტის საჯარო პრეზენტაცია. ამასთან, შეიქმნა კულტურის სტრატეგიის ვებ-გვერდი, culturepolicy.ge.

2015 წელს, დასრულდა კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საჯარო სამსახურების დამშობილების პროგრამის (Twinning) პროექტი „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინსტიტუციონალური განვითარების მხარდაჭერა“, რომელსაც ქართულ მხარესთან ერთად ახორციელებდა იტალიის კულტურული მემკვიდრეობის, კულტურული ღონისძიებებისა და ტურიზმის სააგენტო დანიის კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთან თანამშრომლობით. პროექტის შედეგად შემუშავდა კულტურული მემკვიდრეობის სფეროს განვითარებისათვის შემდეგი მნიშვნელოვანი დოკუმენტები: „მსოფლიო მემკვიდრეობის შესახებ“ კანონპროექტი; მართვის გეგმების სახელმძღვანელო პრინციპები; „კულტურული მემკვიდრეობის კოდექსის“ პროექტის სარჩევი და შესაბამისი ინსტრუქციები; ქვეყანაში კულტურული მემკვიდრეობის მართვის გაუმჯობესების მიზნით - სფეროს ადმინისტრირების გაუმჯობესების რეკომენდაციები.

სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის სამოქმედო გეგმის ეფექტიანი განხორციელების მიზნით შემუშავდა **სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ჩარჩო-დოკუმენტის** პროექტი. დასრულდა მუშაობა ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების სტრატეგიაზე და შემუშავდა ახალგაზრდა მუშაკის კომპეტენციების ჩარჩო. ახალგაზრდული პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შესრულებაზე ეფექტური კონტროლისა და მონიტორინგის განსახორციელებლად შეიქმნა ახალგაზრდული პოლიტიკის მონიტორი (მონიტორინგის ელექტრონული პორტალი www.youth.gov.ge), რომელიც 2016 წელს დაიწყო ფუნქციონირებას. სამოქმედო გეგმის ფარგლებში გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გარდა, ვებ-გვერდზე განთავსდება ახალგაზრდობის სფეროში განხორციელებული კვლევები, პუბლიკაციები და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

დასრულდა მუშაობა პროექტზე „საქართველოს დოპინგსაწინააღმდეგო სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის: სპორტი დოპინგის გარეშე!“, რომელიც მიზნად ისახავს სფეროში ეფექტიანი პოლიტიკის განხორციელებასა და „სპორტში დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის“ UNESCO-ს საერთაშორისო კონვენციისა და ევროპის საბჭოს „დოპინგსაწინააღმდეგო კონვენციის“ დებულებების ეფექტიან შესრულებას.

ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით, შემუშავდა **სპორტის სახელმწიფო მართვის თანამედროვე მოდელი**, რომლის დანერგვის პროცესი აქტიურად მიმდინარეობს. შეიქმნა სპორტული ორგანიზაციების აღიარებისა და დაფინანსების საბჭო, რომელმაც შეიმუშავა და დაამტკიცა სპორტული ორგანიზაციების აღიარების კრიტერიუმები.

რეგიონული განვითარება

ცენტრალურ და ადგილობრივი მმართველობის დონეზე ჩართულობის ინტენსიფიკაციისა და რეგიონული განვითარების პროცესში ჩართულ ყველა მხარეს შორის პარტნიორობის კონსოლიდაციის მიზნით, მომზადდა „რეგიონული პოლიტიკისა და განვითარების დაგეგმვის შესახებ საქართველოს კანონის“ პროექტი.

სამოქალაქო დაცვა

საქართველოს მთავრობამ 2015 წლის სექტემბერში დაამტკიცა სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმა. აღნიშნული გეგმა წარმოადგენს საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის ძირითად სახელმძღვანელო დოკუმენტს, რომელიც აწესრიგებს სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობას. სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის მთავარი მიზანია საგანგებო სიტუაციების პრევენცია, მზადყოფნა, სამოქალაქო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, აღდგენითი და ჰუმანიტარული საქმიანობების კოორდინირება და ა.შ.

თანამშრომლობა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივის ფარგლებში

საქართველო აქტიურად მონაწილეობს ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივაში.

2015 წლის 20-21 მაისს, ქ. რიგაში საქართველოს უმაღლესი თანამდებობის პირებმა მონაწილეობა მიიღეს „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტში.

2015 წლის ივნისში, ევროკავშირის მიეწოდა საქართველოს მთავრობის პოზიცია/ხედვა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკისა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ გადახედვასთან დაკავშირებით.

2015 წელს, "აღმოსავლეთ პარტნიორობის" მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატის ფარგლებში, ქართულმა მხარემ მონაწილეობა მიიღო „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მაღალი თანამდებობის პირების 2 შეხვედრაში, თემატური პლატფორმების 8 შეხვედრაში, პანელის 16 შეხვედრასა და 20-მდე სემინარში/ტრენინგში.

2015 წლის 26 ნოემბერს, ქ.თბილისში გაიმართა "აღმოსავლეთ პარტნიორობის" არაფორმალური დიალოგის მე-6 შეხვედრა, საგარეო საქმეთა და ჯანდაცვის მინისტრების დონეზე.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში, საქართველო აქტიურად იყო ჩართული ციფრული ბაზრის ჰარმონიზაციის მიზნით მიმდინარე „ციფრული ბაზრების ჰარმონიზაცია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში (HDM)“ პროექტში. პროექტის

შედეგად, 2015 წელს, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მეორე პლატფორმის ფარგლებში, ჩამოყალიბდა ახალი, ციფრული ბაზრის ჰარმონიზაციის პანელი.

7. ფინანსური დახმარება, და თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლისა და კონტროლის შესახებ დებულებები

საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ევროკავშირის ფინანსურ დახმარებას, რომელიც ხორციელდება ევროკავშირის სხვადასხვა დახმარების პროგრამებისა და პროექტების საშუალებით და ხელს უწყობს საქართველოს ევროინტეგრაციის რეფორმების წარმატებით განხორციელებას. აღსანიშნავია, რომ საქართველოს დემოკრატიული რეფორმების წარმატების კვალობაზე საქართველოსთვის ხელმისაწვდომი ხდება ევროკავშირის უფრო ფართო და მრავლისმომცველი დახმარების ინიციატივები.

2014-2017 წლების ევროკავშირის ერთიანი დახმარების ჩარჩო პროგრამა (Single Support Framework - SSF) საქართველოსთვის 410 მილიონ ევრომდე დახმარებას ითვალისწინებს. SSF-ის ფარგლებში, 2015 წლის 13 იანვარს, ხელი მოეწერა ევროკავშირის დახმარების 2014 წლის სამოქმედო გეგმის 44,5 მილიონი ევროს ღირებულების „მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისა და DCFTA განხორციელების ხელშეწყობის“ პროგრამის საფინანსო შეთანხმებას.

2015 წლის 14 მაისს, ხელი მოეწერა „მართლმსაჯულების სექტორის მხარდამჭერი“ 50 მილიონი ევროს ღირებულების პროგრამის საფინანსო შეთანხმებას. ევროკავშირის ინიციატივა „მეტი მეტისათვის“ ფარგლებში, 2014 წელს საქართველოსთვის გამოყოფილი 30 მილიონი ევროდან, 2015 წლის 22 აპრილს, ხელი მოეწერა 8 მილიონი ევროს ღირებულების საფინანსო შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს საჯარო უწყებებში ინსტიტუციური გაძლიერების პროექტების განხორციელებას. ასევე, 2015 წლის 14 მაისს ხელი მოეწერა „ადამიანის უფლებების დაცვის“ 10 მილიონი ევროს ღირებულების პროგრამის საფინანსო შეთანხმებას.

ევროკავშირის მიმდინარე პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების კუთხით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს სახელმწიფო უწყებების ინსტიტუციურ გაძლიერებას. საჯარო სამსახურების დამშობილების (Twinning) პროგრამის ფარგლებში, 2015 წელს, საქართველოს სხვადასხვა უწყებაში დასრულდა 4 პროექტი და დაიწყო 4 ახალი პროექტის განხორციელება.

ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის პროგრამა TAIEX-ის ფარგლებში, 2015 წელს განხილული იქნა 40 საპროექტო წინადადება.

პროგრამა SIGMA-ს ფარგლებში (ხელშეწყობა მართვისა და მმართველობის სისტემების გაუმჯობესებაში), 2015 წელს განხორციელდა 5 საექსპერტო დახმარების პროექტი, რომლებიც მიზნად ისახავს ასოცირების შეთანხმების განხორციელებაში მონაწილე საჯარო უწყებების მხარდაჭერას.

ასოცირების შესახებ შეთანხმების VII კარის დებულებების განხორციელების მიზნით, დაიწყო კონსულტაციები ევროკავშირის დახმარების მიმღებ დარგობრივ უწყებებთან, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტების მონიტორინგის სისტემის შემუშავებასთან დაკავშირებით, რომელიც ხელს შეუწყობს ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტების კონტროლისა და აუდიტის სისტემის დანერგვას.

2015 წლის ივლისში, ევროკავშირის ექსპერტების ჩართულობით, შემუშავდა „საგზაო რუკის (Road Map)“ პროექტი, რომელიც მოიცავს კონკრეტულ წინადადებებს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტების მონიტორინგის სისტემის დასანერგად.

2015 წლის ნოემბერში, ქ. ბრიუსელში გაიმართა ქართული მხარის შეხვედრა ევროკავშირის თაღლითობასთან ბრძოლის ოფისის (OLAF) წარმომადგენლებთან, რომელიც მიზნად ისახავდა ასოცირების შესახებ შეთანხმების VII კარის ფარგლებში საქართველოს ვალდებულებების განხორციელებასთან დაკავშირებით კონსულტაციების გამართვას.

8. ინსტიტუციური, ზოგადი და დასკვნითი დებულებები

ინსტიტუციური ჩარჩო

2015 წელს, საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობა დინამიურად ვითარდებოდა ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებულ თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმატის ფარგლებში.

2015 წლის 16 ნოემბერს, ჩატარდა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს მეორე სხდომა. ასოცირების საბჭომ დადებითად შეაფასა ასოცირების საბჭოს პირველი სხდომის შემდეგ ევროკავშირსა და საქართველოს თანამშრომლობაში მიღწეული მნიშვნელოვანი წინსვლა და ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მიზნით გატარებული რეფორმები.

2015 წლის 2 ივნისსა და 17 ნოემბერს ჩატარდა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის სხდომები.

2015 წელს, გაიმართა ასოცირების ქვეკომიტეტების სხდომები მართლმსაჯულების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების საკითხებზე, ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებზე, ტრანსპორტის, ენერგეტიკის, გარემოს, კლიმატისა და სამოქალაქო დაცვის საკითხებსა და დასაქმების, სოციალური პოლიტიკის, თანაბარი შესაძლებლობებისა და ჯანდაცვის საკითხებზე.

2015 წლის 3-4 ნოემბერს, გაიმართა საქართველო-ევროკავშირის საპარლამენტო ასოცირების კომიტეტის პირველი სხდომა. სხდომაზე საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები და ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მიმდინარეობა განიხილეს.

სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობა

საქართველოს მთავრობა აქტიურად თანამშრომლობს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან, რომლებიც ჩართულნი არიან ასოცირების შეთანხმების განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და მისი შესრულების მონიტორინგის პროცესში. საქართველო პირველი ქვეყანაა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმომწერ ქვეყნებს შორის, რომელმაც არასამთავრობო სექტორი აქტიურად ჩართო შეთანხმების განხორციელების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში.

2015 წლის 13 ნოემბერს, საქართველოს მთავრობასა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნულ პლატფორმას შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

გარდა ამისა, საქართველოს მთავრობა ჩართული იყო კონსულტაციებში ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ევროკავშირი-საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის დროული ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით.